საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ 2018 წლის პერიოდის ფინანსური საქმიანობის შედეგების თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის
“საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მენეჯმენტს

მოსაზრება,

ჩვენ, შპს „აუდიტ-ცენტრი“-ს და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” ფინანსური საქმიანობის შემოწმების მიზნით ჩავატარეთ აუდიტი, რაც მოიცავს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღვრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. ჩვენს მიერ შემოწმებულ იქნა ორგანიზაციის საანგარიშო წლის სრული ფინანსური დოკუმენტაცია.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ების) შესაბამისად, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ფინანსურ საქმიანობაზე გავცეთ უპირობო (დადებითი) დასკვნა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ების) შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური

ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ების) შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და შევაფასოთ სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ფინანსური საქმიანობის შედეგები საანგარიშო წლის პერიოდისათვის .

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

შპს „აუდიტ-ცენტრის“ დირექტორი,	ვაჟა
სერთიფიცირებული აუდიტორი	ლალებაშვილი

შპს „აუდიტ-ცენტრის“	გიორგი
სერთიფიცირებული აუდიტორი	კახეთელიძე

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....5

ფინანსური საქმიანობის ანგარიშგება....6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....7

ხარჯების გაშიფვრა....8

კაპიტალში/ფონდებში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება....10

ახსნა-განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე....11

1. ძირითადი საქმიანობა....11

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი....11

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა....11

3.1. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება....11

3.2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები....12

3.3. მოთხოვნები ბანკების მიმართ....12

3.4. ძირითადი საშუალებები და ცვეთა....12

3.5. კრედიტორული და დებიტორული დავალიანება....13

3.6. კაპიტალი....13

3.7. მოგების გადასახადი....13

3.8. შემოსავლები....14

3.10. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები....20

3.11. საწარმოს უწყვეტობის განხილვა....20

4. რისკის მართვა....22

ა) სავალუტო რისკი....22

ბ) საკრედიტო რისკი....22

გ) ლიკვიდურობის რისკი....23

5. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან....23

6. სასამართლო დავები....24

7. საწარმოს უწყვეტობის განხილვა....24

8. ბალანსის შემდგომი მოვლენები....24

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2016	2017	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები		**1,380,593.00**	**1,410,713.00**	**1,722,637.00**
ძირითადი საშუალებები	4	1,368,228.00	1,384,812.00	1,688,326.00
არამატერიალური აქტივები	5	12,365.00	25,901.00	34,311.00
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
მიმდინარე აქტივები		**164,049.00**	**118,998.00**	**281,790.00**
მარაგები	6			7,239.00
დებიტორები				
ავანსები	7	10,801.00		2,067.00
გადახდილი გადასახადები	8	-	10,848.00	24,224.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	153,248.00	108,150.00	248,260.00
სულ აქტივები		**1,544,642.00**	**1,529,711.00**	**2,004,427.00**
ფონდები და დაფინანსება				
ფონდები		**1,433,259.00**	**1,527,319.00**	**1,937,707.00**
საქმიანობიდან მიღებული შედეგი		1,433,259.00	1,527,319.00	1,937,707.00
გრძელვადიანი ვალდებულებები		**90,382.00**	**-**	**-**
გრძელვადიანი სესხები		90,382.00		
საპენსიო ანარიცხები				
მოკლევადიანი ვალდებულებები		**21,001.00**	**2,392.00**	**66,720.00**
მიმდინარე ვალდებულებები	10	2,966.00	2,392.00	66,720.00
მოკლევადიანი სესხები				
საგადასახადო ვალდებულება		18,035.00		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი				
სულ ფონდები და ვალდებულებები		**1,544,642.00**	**1,529,711.00**	**2,004,427.00**

მედეა გამდლიშვილი
ფინანსური მენეჯერი

1 ოქტომბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ფინანსური საქმიანობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

		2017	2018
შემოსავლები			
საწევრო შენატანები	11	522,374.00	737,900.00
ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი	11	382,634.00	433,131.00
გრანტი	11	443,609.00	193,793.00
სხვა შემოსავლები	12		3,163.00
სულ შემოსავლები		**1,348,617.00**	**1,367,987.00**
ხარჯები			
პროექტის (გრანტის) ხარჯი	13	(199,234.00)	(193,131.00)
ბიუჯეტის ხარჯი (ბიუჯეტი)	13	(776,826.00)	(739,134.00)
ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი	13	(308,503.00)	(313,167.00)
საგადასახადო და სხვა ხარჯი	14	(36,521.00)	(35,777.00)
სულ ხარჯები		**(1,321,084.00)**	**(1,281,209.00)**
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)		**27,533.00**	**86,778.00**
უძრავი ქონების მუდმივი სარგებლობით გადმოცემა			323,600.00
შემოსავალი ინვესტიციიდან			
შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი			
სხვა შემოსავალი		66,367.00	
სულ შემოსავალი		**66,367.00**	**323,600.00**
სულ წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)		**93,900.00**	**410,378.00**

მედეა გამდლიშვილი
ფინანსური მენეჯერი

1 ოქტომბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2017	2018
საწევროს სახით მიღებული ფულადი სახსრები	524,464.00	799,431.00
გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები	444,129.00	193,793.00
ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული თანხები	452,225.00	509,635.00
თანამშრომლებზე გაცემული ფული	(834,829.00)	(590,325.00)
მომწოდებლებზე გაცემული ფული	(280,794.00)	(338,410.00)
გადახდილი გადასახადები	(238,112.00)	(273,214.00)
ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი	(35,675.00)	(50,500.00)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**31,408.00**	**250,410.00**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(76,506.00)	(97,030.00)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(13,270.00)
მიღებული პროცენტები		
მიღებული დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(76,506.00)**	**(110,300.00)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
თამასუქის გაცემით მიღებული ფულადი სახსრები		
სესხის დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**-**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**(45,098.00)**	**140,110.00**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	153,248.00	108,150.00
ფულადი სახსრების სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი		-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**108,150.00**	**248,260.00**

მედეა გამდლიშვილი
ფინანსური მენეჯერი

1 ოქტომბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

ხარჯების გაშიფვრა

ხარჯების ელემენტები	ბიუჯეტის ხარჯი	გრანტის ხარჯი (UNDP)	გრანტის ხარჯი (UNICEF)	გრანტის ხარჯი (პრეზიდენტი)	გრანტის ხარჯი (პროლოგი)	გრანტის ხარჯი (UNICEF 2)	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	სულ
პერსონალის ხელფასი	416,907.00	13,580.00	2,614.00	5,600.00	31,409.28	1,250.00		**471,360.28**
მედია-გეგმის ხარჯი	13,365.00							**13,365.00**
სამივლინებო ხარჯი	2,704.00							**2,704.00**
სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯი	77,756.00							**77,756.00**
სარემონტო ხარჯი	7,503.00							**7,503.00**
ჟურნალის ხარჯი	600.00							**600.00**
კომიტეტების ხარჯი	23,247.00							**23,247.00**
საერთაშორისო ორგანიზაციების ხარჯი	6,704.00							**6,704.00**
ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის ხარჯი	50,500.00							**50,500.00**
სარევიზიო კომისია	5,710.00							**5,710.00**
რეგიონალური განვითარების ხარჯი	11,677.00							**11,677.00**
კომუნალური	23,935.00							**23,935.00**
კომუნიკაცია	23,153.00	330.00			870.00			**24,353.00**
საკანცელარიო	16,281.00	2,654.00	200.00		71.00			**19,206.00**
საწვავი	5,934.00							**5,934.00**
სხვადასხვა ხარჯი	53,158.00	3,423.00		1,846.00	488.00	720.00	772.00	**60,407.00**

ხარჯების ელემენტები	ბიუჯეტის ხარჯი	გრანტის ხარჯი (UNDP)	გრანტის ხარჯი (UNICEF)	გრანტის ხარჯი (პრეზიდენტი)	გრანტის ხარჯი (პროლოგი)	გრანტის ხარჯი (UNICEF 2)	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	სულ
გამოცდების ტესტების და სერთიფიკატების ხარჯი							46,537.00	**46,537.00**
სამკერდე ნიშნების ხარჯი							8,941.00	**8,941.00**
საბანკო ხარჯი							1,740.00	**1,740.00**
კვების და სატუმროს ხარჯი			2,063.00	2,470.00	9,366.00	3,555.00		**17,454.00**
ცვეთა							119,614.00	**119,614.00**
საგადასახადო ხარჯი							35,777.00	**35,777.00**
მცირე ფასიანი ინვენტარის ხარჯი							6,107.00	**6,107.00**
მომსახურებები ფიზიკურ პირებთან (ტრენერების ანაზღაურება)		5,368.00		78,000.00	20,977.72	6,276.00	129,456.00	**240,077.72**
ხარჯების ჯამი	**739,134.00**	**25,355.00**	**4,877.00**	**87,916.00**	**63,182.00**	**11,801.00**	**348,944.00**	**1,281,209.00**

მედეა გამდლიშვილი
ფინანსური მენეჯერი

1 ოქტომბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

კაპიტალში/ფონდებში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	ფონდები
2016 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**1,047,902.00**
გრანტი და შემოწირულობები	965,983.00
სხვა შემოსავლები	449,001.00
ხარჯები დაფინანსებიდან	
სხვა ხარჯები	(935,557.00)
ფონდის ზრდა (შემცირება)	479,427.00
2017 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**1,527,329.00**
გრანტი და შემოწირულობები	1,256,927.00
სხვა შემოსავლები	434,660.00
ხარჯები დაფინანსებიდან	(932,265.00)
სხვა ხარჯები	(348,944.00)
ფონდის ზრდა (შემცირება)	410,378.00
2018 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**1,937,707.00**

_____

მედეა გამდლიშვილი
ფინანსური მენეჯერი

1 ოქტომბერი, 2019 წ.
თბილისი, საქართველო

ახსნა-განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ძირითადი საქმიანობა

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია" (შემდგომში -"ორგანიზაცია") რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის 18 მარტს. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი. ჩუღურეთის რაიონი. ხეთაგუროვის ქ. #26 ორგანიზაციას მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 202255692. ორგანიზაციის მმართველობითი ორგანო არის აღმასრულებელი საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეა დავით ასათიანი.

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადვოკატის უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესების და დამოუკიდებლობის დაცვა, იურიდიული განათლების ხელშეწყობა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი წევრების მიღება (საკვალიფიკაციო გამოცდის და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საფუძველზე).

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

საანგარიშგებო ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვისა და ანგარიშსწორების

დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტების ანალოგიურად.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

3.3. მოთხოვნები ბანკების მიმართ

თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს ბანკებში სხვადასხვა ვადებით. მოთხოვნები ბანკების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.4. ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში ან ხდება მათი აღრიცხვა (აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა (შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება აისახება შემოსავლების უწყისში მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით, შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

საოფისე ინვენტარი და კომპიუტერული აღჭურვილობა	20%
ავეჯი	20%
შენობა ნაგებობები	5%
სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	15%

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

3.5. კრედიტორული და დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება ორგანიზაციას თითქმის არ გააჩნია. კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.6. კაპიტალი

ორგანიზაციის კაპიტალი შედგება ეკონომიკური საქმიანობის და მიღებული საწევროების შედეგად მიღებული და დაგროვებული აკუმულირებული მოგებისგან.

3.7. მოგების გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ორგანიზაციას მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

3.8. შემოსავლები

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას" გააჩნია სამი ტიპის შემოსავლები:

1) შემოსავლები საწევრო შემონატანებიდან;
2) შემოსავლები გრანტებიდან და შემოწირულობებიდან;
3) შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით, მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების გაწევის დროს.

შემოსავალი საწევრო შენატანებიდან

ორგანიზაციის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საწევროებიდან მიღებული თანხები. ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატების წლიური საწევრო გადასახადის ოდენობაა 200 ლარი. სხვადასხვა შეღავათების გათვალისწინებით, ნაწილი მათგანისთვის საწევროს ოდენობა შეადგენს 100 ლარს, ნაწილისთვის კი 50 ლარს. საანგარიშგებო თარიღისათვის ასოციაციაში გაწევრიანებული იყო დაახლოებით 5000 ადვოკატი და მათი საწევრო გადასახადი დაახლოებით შეადგენს 738 000 ლარს. წლის განმავლობაში მისი საწევრო შემოსავლები შედგება ძველი წევრების მიერ შეტანილი თანხებისგან, ასევე მიმდინარე წელს ახლად გაწევრიანებულთა საწევრო გადასახადებისგან.

შემოსავალი საგრანტო ხელშეკრულებებიდან

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციას ასევე მიღებული აქვს დაფინანსება გრანტის სახით, რაზეც გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულებები. აღნიშნული შემოსავლები აღიარებულია ფაქტიურად მიღებული და გახარჯული თანხების მიხედვით.

შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას" ასევე გააჩნია ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები, რომელიც შედგება საადვოკატო გამოცდებიდან და სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებიდან. აღნიშნული მომსახურება ფასიანია და წლის განმავლობაში, საშუალოდ, ასეთი შემოსავლების მოცულობა შეადგენს 435 000 ლარს. ტესტირებაში და გადამზადების კურსებში მონაწილეობა ხდება რეგისტრაციისას თანხის გადახდის საფუძველზე.

3.9. ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს: თანამშრომლების ხელფასი, ადვოკატთა ტესტირება და სერთიფიკატები, ძირითადი საშუალებების ცვეთა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი
საწყისი ღირებულება	**1,302,759.00**	**9,688.00**	**26,271.00**	**29,512.00**
შეძენა/დამატება	71,968.00	45,741.00	3,640.00	3,553.00
აქტივების ჩამოწერა				
ცვეთა პერიოდისათვის	(77,784.00)	(11,461.00)	(9,510.00)	(9,565.00)
აკუმულირებული ცვეთა	(232,603.00)	(27,833.00)	(51,974.00)	(25,154.00)
ნაშთი 31.12.2017	**1,296,943.00**	**43,968.00**	**20,401.00**	**23,500.00**
შეძენა/დამატება	356,277.00	26,190.00	38,256.00	3,650.00
აქტივების ჩამოწერა		(2,519.00)	(2,106.00)	(1,481.00)
ცვეთა პერიოდისათვის	(84,609.00)	(12,310.00)	(9,522.00)	(8,313.00)
აკუმულირებული ცვეთა	(310,387.00)	(39,294.00)	(61,484.00)	(34,719.00)
ნაშთი 31.12.2018	**1,568,611.00**	**55,329.00**	**47,029.00**	**17,356.00**

შენიშვნა 5 - არამატერიალური აქტივები

საწყისი ღირებულება	**12,365.00**
შეძენა/დამატება	17,986.00
ცვეთა პერიოდისათვის	(4,450.00)
აკუმულირებული ცვეთა	(1,124.00)
ნაშთი 31.12.2017	**25,901.00**
შეძენა/დამატება	13,270.00
ცვეთა პერიოდისათვის	(4,860.00)
აკუმულირებული ცვეთა	(5,574.00)
ნაშთი 31.12.2018	**34,311.00**

შენიშვნა 6 - მარაგები

	31.12.2017	31.12.2018
საქონელი - სამკერდე ნიშნები	-	7,239.00
სულ მარაგები	**-**	**7,239.00**

შენიშვნა 7 - გადახდილი ავანსები

	31.12.2017	31.12.2018
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	-	2,067.00
სულ გადახდილი ავანსები	**-**	**2,067.00**

შენიშვნა 8 - გადახდილი გადასახადები

	31.12.2017	31.12.2018
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10,848.00	24,224.00
სულ გადახდილი გადასახადები	**10,848.00**	**24,224.00**

შენიშვნა 9 - ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2017	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	235.00	926.00
ლარი საბანკო ანგარიშებზე	107,884.00	247,317.00
უცხოური ვალუტა ანგარიშებზე	31.00	17.00
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**108,150.00**	**248,260.00**

შენიშვნა 10 - მიმდინარე ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,392.00	66,720.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**2,392.00**	**66,720.00**

შენიშვნა 11 - შემოსავლები

	31.12.2017	31.12.2018
შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან	382,634.00	433,131.00
შემოსავლები საწევროებიდან	522,374.00	737,900.00
შემოსავლები გრანტებიდან	443,609.00	193,793.00
სულ შემოსავალი	**1,348,617.00**	**1,364,824.00**

შენიშვნა 12 - არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	31.12.2017	31.12.2018
არასაოპერაციო შემოსავლები	66,367.00	3,163.00
არასაოპერაციო ხარჯები	(1,226.00)	-
მუდმივი სარგებლობით გადმოცემული უძრავი ქონება	-	323,600.00
სულ ადმინისტრაციული სხვა საოპერაციო ხარჯი	**65,141.00**	**326,763.00**

შენიშვნა 13 - ხარჯები

	31.12.2017	31.12.2018
შრომის ანაზღაურება	(697,575.00)	(711,438.00)
გამოცდების ტესტების და სერთიფიკატების ხარჯი	(19,822.00)	(28,129.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(112,769.00)	(119,614.00)
საიჯარო ქირა	(13,200.00)	(18,408.00)
სხვა საერთო ხარჯი	(3,793.00)	(772.00)
ქონების გადასახადი	(3,614.00)	(4,823.00)
საპროცენტო ხარჯი	(4,213.00)	-
საბანკო ხარჯი	(1,229.00)	(1,740.00)
გრანტებთან და საწევროებთან დაკავშირებული ხარჯი	(428,348.00)	(350,283.00)
სამკერდე ნიშნების ხარჯი		(8,941.00)
მცირე ფასიანი ინვენტარის ხარჯი		(6,107.00)
მოგების გადასახადი		(30,954.00)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	**(1,284,563.00)**	**(1,281,209.00)**

შენიშვნა 14 – საგადასახადო ხარჯი

	31.12.2017	31.12.2018
ქონების გადასახადი	-	4,823.00
მოგების გადასახადი	35,296.00	30,954.00
სულ საგადასახადო ხარჯი	**35,296.00**	**35,777.00**

3.10. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი:

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2017	**31 დეკემბერი 2018**
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6766
ლარი/1 ევრო	3.1044	3.0701

3.11. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"მომდევნო წლის ბიუჯეტირებას ახდენს მიმდინარე წლის ბოლოს, რომელიც მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ. აღნიშნული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, განიცდის კორექტირებას კალენდარული წლის განმავლობაში.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, სადაც ჩანს 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმილი და ფაქტიურად გაწეული ხარჯები:

დასახელება	**დაგეგმილი**	**რეალური**	**%**
ხელფასი	428,600.00	414,332.00	96.67
მედია გეგმის ბიუჯეტი	14,700.00	13,365.00	90.92
სამივლინებო ხარჯი	5,000.00	2,704.00	54.08
სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯი	90,000.00	77,756.00	86.40
სარემონტო ხარჯი	7,526.60	7,503.00	99.69
ჟურნალი	600.00	600.00	100.00
კომიტეტები	38,000.00	23,247.00	61.18
საერთაშორისო ორგანიზაციებში გადარიცხული თანხები	5,000.00	6,704.00	134.08
ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი	51,250.00	50,490.00	98.52
სარევიზიო კომისია	10,000.00	5,710.00	57.10
რეგიანალური განვითარების ხარჯი	57,000.00	56,925.00	99.87
სხვადასხვა	196,373.40	184,164.00	93.78
საწვავის ხარჯი	6,000.00	5,934.00	98.90
სულ ჯამი	**910,050.00**	**849,434.00**	

როგორც ცხრილიდან ჩანს, მცირედი გადახარჯვაა საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასარიცხ საწევრო თანხებში, რაც გამოწვეულია ვალუტის კურსის ცვლილებით.

სხვადასხვა ხარჯის გაშიფვრა:

დასახელება	დაგეგმილი	რეალური	%
კომუნალური	27,000.00	23,935.00	88.65
კომუნიკაციის ხარჯი	63,000.00	60,935.00	96.72
პრემია	5,000.00	2,575.00	51.50
საკანცელარიო	16,373.40	16,282.00	99.44
კრების ხარჯი	5,000.00	4,845.00	96.90
სხვადასხვა	80,000.00	75,592.00	94.49
სულ ჯამი	**196,373.40**	**184,164.00**	

4. რისკის მართვა

ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს, (მათ შორის: სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ღირებულებების რისკს) საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ა) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია არ ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას ან სხვა სახის ვალდებულებების უცხოურ ვალუტაში. 2018 წელს ორგანიზაციის სავალუტო ანგარიშებზე იყო მცირე ბრუნვა და შესაბამისად წარმოიქმნა მცირე სხვაობა კურსის ცვლილებიდან გამომდინარე.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ორგანიზაციის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. აღნიშნული რისკი ორგანიზაციაში მინიმალურია, რადგან მას არ გააჩნია დებიტორები და შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საწევრო შენატანები. წევრების მხრიდანაც ხდება საწევრო შენატანების დაგვიანება/არ გადახდა, თუმცა აღნიშნული რისკი ორგანიზაციაში მინიმალურია. ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოქმილი მოთხოვნებიდან და საკრედიტო რისკი არ არსებობს, რადგან ამ შემოსავლების მიღება დებიტორებისგან ხდება წინასწარ.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ლიკვიდურობის რისკები არ არის მაღალი ვინაიდან არ არის იდენტიფიცირებული არსებითი სახის ვალდებულებები რომლის დაფარვასაც ორგანიზაცია ვერ შეძლებს თავისი საოპერაციო საქმიანობის პირობებში. რაც შეეხება სასესხო ვალდებულებებს, საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციას არ გააჩნია

5. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ ორგანიზაციას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან

არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში არ არის იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები.

6. სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ არ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. მენეჯმენტი ასევე არ ფლობს ინფორმაციას პოტენციური სასამართლო პროცესების და სხვა სახის მარეგულირებელი შემოწმების რისკების წარმოქნის შესახებ.

7. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ორგანიზაცია დაფუძნებულია საქართველოს „ადვოკატთა შესახებ კანონის“ საფუძველზე. მის მიმღებ ორგანოს წარმოადგენს პარლამენტი და ამტკიცებს პრეზიდენტი. დღეისათვის რაიმე წინაპირობა იმისა, რომ აღნიშნული კანონი შეწყვეტს მოქმედებას ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფუნქციონირებას რაიმე საფრთხე ემუქრება, არ არსებობს.

8. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელზედაც საჭირო იქნებოდა განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში